

შ ე მ ა ჯ ა მ ე ბ ე ლ ი ტ ე ს ტ ი

დრო: 90 წუთი

1. ა) რიცხვის რა ნაწილია მისი 43 %:

2	
---	--

ბ) რიცხვის რამდენ პროცენტს შეადგენს მისი $\frac{9}{10}$ ნაწილი:

2	
---	--

2. იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა:

$$\left[\left(\frac{2}{193} - \frac{3}{386} \right) \cdot \frac{193}{17} + \frac{33}{34} \right] : 5\frac{1}{7} =$$

3	
---	--

3. გამოითვალეთ და პასუხი ჩაწერეთ წილადის სახით:

ა) $3\frac{3}{4} + \frac{4}{5} : \frac{8}{15} =$

2	
---	--

ბ) $\left(3\frac{1}{4} - 2\frac{5}{6} \right) : 1,125 =$

2	
---	--

4. შეასრულეთ მოქმედება და ჩაწერე შედეგი ათწილადებში:

$$a) 3\frac{3}{4} + \frac{4}{15} : \frac{8}{15} =$$

3	
---	--

$$b) \frac{7}{3 - \frac{7}{3}} + \frac{\frac{25}{3} - 7}{\frac{2}{3}} =$$

3	
---	--

5. შეადარეთ ერთმანეთს გამოსახულებების მნიშვნელობები:

$$a) A = \left(8 - \frac{13}{20}\right) : \frac{7}{20} \quad \text{და} \quad B = \frac{3}{4} : \frac{5}{6} - 1 : 1\frac{1}{9}$$

3	
---	--

6. პირველი მგზავრობისას ავტომობილმა დახარჯა იმ ბენზინის 25% რაც იყო ავზში. შემდეგ მეორე მგზავრობისას – დარჩენილის 20%. ამის შემდეგ ავზში დარჩა ბენზინი 12 ლ-ით მეტი იმაზე, რაც დაიხარჯა ორივე მგზავრობისას. რამდენი ლიტრი ბენზინი ყოფილა ავზში თავდაპირველად?

5	
---	--

7. ორმა ექსკავატორმა ქვაბული ამოთხარა 12 დღეში. მარტო პირველ ექსკავატორს შეეძლო ეს სამუშაო შეესრულებინა 1,5-ჯერ უფრო ნქარა ვიდრე მარტო მეორეს.

რამდენ დღეში შეეძლო ამ სამუშაოს შესრულება ცალ-ცალკე თითოეულ ექსკავატორს?

5	
---	--

8. გამოთვალეთ რამდენ პროცენტს შეადგენს:

ა) 33 300-ის

3	
---	--

ბ) 1125 125-ის

3	
---	--

9. გამოითვალეთ მოცემული სიდიდის პროცენტი:

ა) 152-ის 75%

2	
---	--

ბ) 235-ის 15%

2	
---	--

10. 8 ლარიანი ბურთი ჩამოფასების შემდეგ 6 ლარად იყიდება. რამდენი პროცენტით მომხდარა ჩამოფასება?

3	
---	--

11. საქონლის ფასი 578 ლარი 20%-ით გააიფიცა, ორი თვის შემდეგ კი გააძვირეს 20%-ით. როგორ შეიცვალა საქონლის ფასი საწყის ფასთან შედარებით?

4	
---	--

12. ბანკის საშუალებით ფულის გადასაგზავნად ბანკი მოითხოვს გასაგზავნი თანხის 2%-ს. რამდენი ფულის გაგზავნა შეიძლება, თუ გვაქვს ზუსტად 51 ლარი?

5	
---	--

13. ამოხსენით განტოლება:

$$\frac{5x-1}{9} + \frac{3x-1}{5} = \frac{2}{x} + x - 1$$

4	
---	--

14. ბავშვები მსჯელობენ ამოცანის პასუხის შესახებ. ნიკამ თქვა: „ეს რიცხვია 9“; გიომ: – „ეს მარტივი რიცხვია“; მარიმ: – „ეს რიცხვი ლუწია“; ნატამ: „პასუხია რიცხვი 15“. დაასახელეთ ამ ამოცანის პასუხი, თუ გოგონებიდანაც და ბიჭებიდანაც მხოლოდ ერთ-ერთის პასუხია მართალი.

4	
---	--